163
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 228
ოქტომბრის 26, შაბათი 1902 წ.

1877

ივერია

1902

№ 228
ოქტომბრის 26, შაბათი 1902 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გიორგი სვიმონის-ძე ივანოვი შვილებითურთ და მარიამ გაბრიელის ასული ივანოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლისა და მეორე რძლის

თეკლე ქრისტეფორეს ასულის ივანოვისასა

21 ოქტომბერს ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ კვირას, 27 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ საკუთარის სახლიდგან მიხეილის პროსპექტზედ, № 101, ნიკოლოოზის ეკკლესიაში (ჩუღურეთს), საიდანაც მიცვალებულს წაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის სასაფლაოზედ. პანაშვიდები ყოველ-დღე დილის 12-სა და საღამოს 7 საათზედ. (2—2)

ნინო ქრისტეფორეს ასული აბულაძისა, მართა ქრისტეფორეს ასული ბადრიძისა, ეკატერინე ქრისტეფორეს ასული გილანოვისა, გიორგი სოლომონის ძე აბულაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი ძვირფასის და დაუვიწყარის დის, ხოლო უკანასკნელნი—ცოლის დის

თეკლე ქრისტეფორეს ასულის ივანოვისას

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ კვირას, 27 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, საკუთარის სახლიდამ მიხეილის პროსპექტზედ, № 101, ნიკოლოოზის ეკკლესიაში (ჩუღურეთს), საიდანაც მიცვალებულს წაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის სასაფლაოზედ. პანაშვიდი ყოველ დღე დილის 12-სა და საღამოს 7 საათზედ. (2—2)

„ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან

მდგომარე წლის 15 ნოემბრიდან

სურათებიანი დამატება

გამოვა კვირაში ორჯერ

ხუთშაბათობით და კვირაობით

ფასი წინანდელი დარჩება, ესე იგი, „ცნობის ფურცელი“ დამატებით ეღირება წელიწადში 6 მანეთი.

ჟურნალ **„მოამბის“** ხელის მომწერთ **„ცნობის ფურცელი“** ვაეგზავნებათ ორივე დამატებით.

„მოამბეს“ წლიური ფასი 10 მან., ქალაქ გარედ გაგზავნით—11 მან.

ხელის მომწერთ ვსთხოვთ გამოწერის დროს რაც შეიძლება ძლიერ **გარკვევით** მოიწერონ **გვარი, სახელი, მამის სახელი და ქალაქის სახელი,** ამასთანავე გარკვევით დასწერონ, რომელი გამოცემა ჰსურს, „ცნობის ფურცელი“—„მოამბე“ თუ მარტო „ცნობის ფურცელი“.

ვინც მომავალ 1903 წლისათვის დაიკვეთავს გაზეთს ან ჟურნალს და წლიურს ფასს წინადვე შემოიტანს, გამოცემანი გაეგზავნება მდგომარე წლის 1 დეკემბრიდან მომავალ 1903 წლის დამლევამდე.

ხუთშაბათის დამატების ნომრებში დაიბეჭდება **ემილ ზოლას** უკანასკნელი რომანი **სიმართლე** „Verite“. ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარების ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მესახვა საქონლისა შედავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაპი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—ნ.—44)

№ 9. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

კვირას, 27 ოქტომბერს, 1902 წ.

იაფ ფასიანი წარმოდგენა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ს ა ღ ა მ ო თ ი

დაკლებულის ფასებით

ძალა

აღმართსა ხნავს

კომ. 4 მოქმედებად.

II

არივ-დარია!

ვოდევილი 1 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი; ბ-ნნი: დ. აწყურელი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. შათირიშვილი, ყალამბეგაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტერი 50 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 80 კ.-მდე; გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ხალხის მტერი“ (ექიმი შტოკმანი).

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი 617.

დღეს, შაბათს, 26-ს ოქტომბერს,

ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება ორი სრული ოპერა

I

ა. პ. ბონაჩიჩისა და ბ-ნ **ბროჯი-მუტინის** მონაწილეობით

პაიაცი

ოპერა 2 მოქმედ. პროლოგით მუსიკა ლეონკავალლოსი

მონაწილენი: ქ-ნნი გაშინსკის, ბ-ნნი **ბონაჩიჩი, ბროჯი-მუტინი,** გრადოვი, კაზირო და სხ.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**

II

დემონი

ფანტაზიური ოპერა 3 მოქ. და 5 სურათად. მუსიკა რუბენშტეინისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არციბაშევისა, ბაუერი, სკორუპსკისა, ბ-ნნი ვასილიევი, სუნცოვი, ჩემეზოვი, სერგეევი, პევცოვი და სხ.

კაპელმეისტერი **ა. ზ. ზვერჟანსკი.**

რიგი წარმოდგენებისა 1 დემონი, 2 პაიაცი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასები დაკლებულია.

ხვალ, კვირას, 27 ოქტომბერს ტფილისის კრუჟოკში წარმოდგენილი იქნება ოპერა **ტრავიატა,** ბილეთები იყიდება კრუჟოკის შვეიცართან.

მოკლე დროში ოპერაში მონაწილეობას მიიღებს მ. ნ. ინსაროვისა.

მზადდება წარმოსადგენად **„ბოკაჩიო“** და **„ტოსკა“**.

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჯ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

კ. ზ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სოკოლოვსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზათა მართველობისთვის ნება დაურთავთ გამოსცეს ჟურნალი: „ამიერ კავკასიის რკინის გზათა მოამბე“.

✦ ჩვენ გვწერენ დორპატიდგან, რომ წელს დორპატის სავეითალო ინსტიტუტში ქართველებს ყველას უარი განუცხადეს და არ მიიღეს. 17 ოქტომბერს აქ ჩამოვიდა შარშანდელი ნასტუდენტარი კ. ცაგარელი, რომელიც შარშან ფულის შეუტანლობის გამო იყო გამორიცხული ინსტიტუტიდგან და დირექტორს თხოვნა მიართვა, რომ უკან მიეღოთ. დირექტორი, როგორც გავიგეთ, შუამდგომლობს ვისთანაც ჯერ არს, და ცაგარლის უკან მიღებას აპირებენ, სხვა მთხოვნელი ქართველთაგანი არავინ ჩამოსულა, იყო ერთი, ტფილ. სემინარიაში კურს-დამთავრებული ვ. ლიაძე, რომელიც არ მიიღეს და უკვე გაემგზავრა ტომსკში ბედის საძებნელად.

აქ სიცივეები დაიჭირა და თითქმის განუწყვეტლივ სწვიმს.

✦ ხვალ, 27 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილება მ. მ. შარიგინის თავმჯდომარეობით და ტეხნიკოსთა მონაწილეობით ადგილობრივ გასინჯავს დახურულს ბაზარს იმის გასარკვევად, ბაზახანის შენობის სიძველე მოითხოვს, სრულიად დაიქცეს, თუ შესაძლებელია მისი შეკეთება. ამ საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა დიდად საინტერესოა, რადგან შენობა ფრიად შემოსავლიანია და მონაწილენი-მესაკუთრენიც ბევრნი არიან. ადგილობრივ გასინჯვა ამ შენობისა იმიტომ სცნო საჭიროდ ოლქის სასამართლომ, რომ ექსპერტ-ტეხნიკოსებმა ორგვარი აზრი გამოსთქვეს: ერთნი ამტკიცებენ, შენობა ძირიანად უნდა დაიქცეს, რადგან საშიშიაო, ხოლო მეორენი—შეიძლება შეკეთება და მაშინ საშიში აღარა იქნება რაო.

✦ კავთისხევიდგან გვწერენ, რომ იქ ვიღაც ბოროტ-მოქმედთ ცეცხლი წაუკიდებიათ იქაურ მღვდლის ინდუაშვილის სახლისათვისაო.

✦ ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას გარდაუწყვეტია, პირველ ნოემბრიდგან ხორცის დუქნებში შემოღებულ იქმნას დავთრები, რომელშიაც ყველას შეეძლება თავისი საჩივარი ჩასწეროს; ყოველ თვისა და თვის თავზედ დუქნების კომისია განიხილავს ამ დავთრებში ჩაწერილს საჩივრებს და ეცდება შეძლებისა დაგვარად მოსპოს ჩივილის გამომწვევი უხერხულობა.

✦ გუშინ ქალაქის მოურავმა ბ-ნმა შესპირველ რაიონის დამატებით არჩევნების საქმის ტაკომა გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს წარმოება.

✦ ქალაქის იურისტ-კონსულების თანაშემწე ბ-ნი გ. ზ. ქანანოვი პირველ ნოემბრისათვის ამზადებს ყველა იმ სადავო საქმეთა სიას, რომელიც ქალაქს დაუწყვია და ჰქონია პირველ იანვრიდგან აგვისტოს დამლევამდე; სია წარედგინება ქალაქის გამგეობას განსახილველად.

✦ გუშინ, 24 ოქტომბერს, ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიამ, ბ.ბ-ნი ჩერქეზიშვილისა და ენფიანჯიანცის თანადასწრებით, დაათვალიერა ის ადგილები, სადაც უნდა გაიმართოს ქალაქის საქონლისათვის სათიბეები; კომისიას ეს ადგილები აღუნიშნავს ახლანდელ საყასბოების ნახევარ ვერსის ქვემოდ; კომისიას იმით უხელმძღვანელნია, რომ ამ ცოტა ხნის შემდეგ ქალაქის გამგეობა შეუდგება სწორედ კომისიისაგან აღნიშ-

ნულ ადგილებზედ საყასპოების აშენებას, რომელიც ორის წლის შემდეგ მზად უნდა იყოს და სხვაგან სათივეების აშენება-კი მეტი ხარჯი იქნებაო.

◆ ამ თვის ნახევარში ახალქალაქის მაზრისკენ გაემგზავრა საგუბერნიო ამშენებელი კომისია, რომელსაც უნდა მიეღო მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის ახლად აშენებული შენობანი. ამ კომისიას შვიდს სოფელში დაუთვალიერებია 164 ახლად აშენებული სახლი, რომელიც უშიშრად უცვნია და მიუღია იჯარადარისაგან; კომისია უკვე დაბრუნდა ტფილისში და წარუდგინა მოხსენება ტფილისის გუბერნატორს.

◆ ქალაქის გამგეობამ დაავალა ინჟინერს ს. ზ. მირზოევს, რომელიც მონაწილეობას იღებდა „ჰელიოსის“ მიერ შედგენილ ელექტრონით განათების პროექტში, რომ მან დაუსახელოს გამგეობას ის ადგილები, სადაც უნდა დასდგან ელექტრონის ბოძები, ან შესაძლებელია შეიცვალოს მიმართულება ელექტრონის მართულებისა, ისე რომ ხარჯი შემცირდესო.

◆ ქალაქის ქუჩების გამნათებელ ფირმის „ვაშინგტონის“ წარმომადგენელმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, მოგვეცით ის ცნობანი, თუ რა დახარჯა ალექსანდრეს ბაღში „ვაშინგტონის“ ფარნების განათების შემოღებისათვის.

◆ დღეს, 26 ოკდომბერს, დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება; რომელსაც მინდობილი აქვს გადაათვალიეროს და შეამოწმოს ქალაქის ხორცის დუქნების ანგარიშის წიგნები, დაწყებული 1 მარტიდგან 1 აგვისტომდე.

◆ ქალაქის ელექტრონით განათების კომისიის ზოგიერთის წევრის ვარაუდით ქალაქის ქუჩების ელექტრონით განათების საქმე დამთავრდება 1904 წელს შემოდგომაზედ. ესენივე ამტკიცებენ, რომ უფრო ადრეც მოხერხდებოდა, რომ პროექტი დროზედ წარდგენილიყო მთავრობის წინაშე, რადგანაც მთავრობა თითქმის წელიწადზედ მეტს მოუნდება პროექტის განხილვასაო.

◆ დღეს, 26 ოკდომბერს, დანიშნულია შეერთებული კრება ხმოსან-ტეხნიკოსთა და ქალაქის გამგეობის წევრთა; ამ კრებაზედ მოწვეულნი არიან ინჟინრები: ბ.ბ. კირაკოზოვი, ფლორენსკი და რაჰიმ-ბეგ-ახუნდოვი. კრება განიხილავს ქალაქის ქუჩებზედ ელექტრონით მოსიარულე ვაგონებისა და სხვა ქალაქის საჭიროებათათვის, იდრავლიკურ სადგურის აშენების საქმეს.

◆ გუშინწინ, 24 ამ თვეს, მოჰხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ტეხნიკოსთა; კრებას დაესწრო ელექტრონის ფირმის წარმომადგენელი; ბ-ნმა ეფინჯიანცმა კრებას წარუდგინა პროექტი ქალაქის ელექტრონით განათებისა და მასთანავე დასძინა, რომ შედგენილი პროექტი სავსებით არ არის შემუშავებული და ამისათვის უნდა დაუბრუნდეს ელექტრონის ფირმას „ჰელიოსს“ შესამუშავებლადაო. ჰელიოსის წარმომადგენელი ბ-ნ ეფინჯიანცის ამისთანა სიტყვამ გააკვირვა, რადგანაც პროექტი უკვე შესწორდა გამგეობის ჩვენებისამებრ და შესწორებული პროექტი წარუდგინა 6 მკათათვეს, თუ შესწორება უნდოდა რამე, აქამდის რად აგვიანებდა, შესასწორებელს რამეს პროექტში აქამდე შევასწორებდით და საქმეს აღარ დავაგვიანებდითო. კრებამ განიხილა-რა „ჰელიოსის“ მიერ წარდგენილი პროექტი, სცნო ყოველის მხრივ საკმარისად შემუშავებულად და სთხოვა ბ-ნ ეფინჯიანცს, რომ მან დაუყოვნებლივ მიართვას ტფილისის გუბერნატორს უმაღლეს მთავრობის წინაშე წარსადგენად და დასამტკიცებლად.

◆ ქალაქის გამგეობამ ბ-ნ ტიგრანოვს დართო ნება ლაბორატორიის ქუჩაზედ დასდგას ორი ელექტრონის ფარანი 25 სანთლის სინათლისა; ფარნები უნდა ენთოს გარდა მთვარიან ღამისა, ღამის 2 საათამდე. ამ ფარნების ხარჯს კისრულობს ბ-ნი ტიგრანოვი.

◆ ოთხშაბათს, 30 ოკდომბერს, დანიშნულია ქალაქის გამგეობის წევრთა საგანგებო კრება, რომელზედაც განხილული იქნება ფურცელაძის მიერ ქალაქის ადგილების დაჩემების საქმე.

◆ 6 ნოემბრისათვის დანიშნულია იმ საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც შემწეობას აძლევს ღარიბ მოსწავლეთ ქალაქის სასწავლებლებში; საზოგადოება ამ დღესვე დაუნიშნავს შემწეობას ღარიბ მოსწავლეთ.

◆ ქალაქის სასანიტარო-საექიმო განყოფილებას აღუძრავს შუამდგომლობა გამგეობის წინაშე, რომ ავადმყოფთა მიღება შემცირდეს სამკურნალოებშიო, რადგანაც მოსალოდნელია, ფული არ ეყოს ამ სამკურნალოებს წლის დამლევამდე, რის გამოისობითაც იძულებულნი ვიქნებით სრულებით მოვსპოთ ავადმყოფთა მიღება და უფასოდ წამლის გაცემაო.

◆ გუშინ-წინ, 24 ოკდომბერს, მოჰხდა ტფილისის სასანიტარო-საექიმო საბჭოს წევრთა კრება; კრებამ განიხილა რა ტფილისის გადამდებ სენით თავ-შესაფარების საერთო პლანის (генеральный планъ) შედგენის საქმე, დაადგინა: ეს საქმე მიენდოს განსაკუთრებულს კომისიას, რომელმაც გამოიკვლიოს მისი გარემოება და წარმოუდგინოს საექიმო საბჭოს კრებას განსახილველადაო. საბჭომ გარდასწყვიტა აგრეთვე ააშენოს ავადმყოფთათვის თავშესაფარნი, ხოლო აშენებას შეუდგეს მაშინ, როდესაც ქალაქის გამგეობა მიიღებს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან კერძო გარდასახადის აკრეფის ნებას საავადმყოფოთა სასარგებლოდ. მხოლოდ მაშინ ეცოდინება გამგეობას; რამდენი გაიღოს ამ შენობათათვის. სასანიტარო საბჭომ დაადგინა აგრეთვე დააწესოს ღორების გაშინჯვა და შეუკვეთო ზედ მისაკრავი პლომბები, რომელსაც ერთ მხარეზედ ქალაქის ღერბი ჰქონდეს აღნიშნული, მეორეზედ ეწეროს „ტფილისის სასანიტარო-საექიმო საბჭო“, საექიმო საბჭომ განიხილა აგრეთვე სადიზინფექციო შენობის დამთავრების შესახები ქაღალდი ექიმის რაზაჰატისა და დაადგინა, შენობა დამთავრდესო, რისთვისაც საბჭომ გადასდო საჭირო თანხა. საბჭომ წარმოსთქვა აგრეთვე ის აზრი, რომ კარგი იქნები შეიცვალოს ხორცზედ ბეჭდის დასმის სისტემა და მიანდეს ეს საქმე კერძო კომისიას.

◆ 28 ამ თვეს მოჰხდება კრება იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს საქონლის სათივეებისა და ბოსლების მოწყობა; სხვათა-შორის კომისია საბოლოვოდ განიხილავს სათივეებისა და ბოსლების მოწყობის საქმეს: 1) როდის შეუდგეს მუშაობას, 2) მიიღოს ახნაზაროვის მიერ ამ საგნისთვის გამოანგარიშებული ხარჯთ-აღრიცხვა თუ არა და 3) რამდენი სული უნდა მოთავსდეს ახლად აშენებულ ბოსლებში.

◆ გუშინ-წინ, 24 ოკდომბერს, იყო ტფილისის სასწავლებელთა აღმასრულებელ კომისიის წევრთა კრება; კრებამ მოისმინა ქალების მესამე გიმნაზიის გამგეობის თხოვნა, რომ ამ გიმნაზიის სახლში მოთავსებული ქალაქის სასწავლებელი სადმე გადაიტანეთ, რადგანაც გამგეობა მალე უნდა შეუდგეს ახალი შენობის აგებას გიმნაზიისათვისაო. კომისიამ გარდასწყვიტა, დაიქირაოს ამ სკოლისათვის ღორის-მელიქოვის ქუჩაზედ შადინოვის სახლი (სადაც მოთავსებული იყო ვილდარეტის ათვთიაქი), ოთხის წლის ვადით, პირველს წელს ეძლიოს 1700 მან. სახლის ქირა, დანარჩენ სამი წლის განმავლობაში 1800 მანეთიო.

კომისიამ განიხილა აგრეთვე ქალაქის სასწავლებლების ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც დაამტკიცა ერთხმად. კომისიასვე მოხსენდა ამა სასწავლებლების გამგეთა ის დადგენილება, რომლითაც ითხოვდნენ, ჯამაგირი სკოლათა გამგეებს თანაბრად ეძლიოთ და არა ისე, როგორც ეხლაო; კომისიამ არ შეიწყნარა გამგებლების თხოვნა და ეს საგანი დასტოვა ისევ იმ მდგომარეობაში, როგორც იყო აქამომდე;—კომისიამ ამავე კრებაზედ თითო სკოლას კანცელარიის საჭიროებისათვის, გადუჭრა სამ-სამი თუმანი და თითო თუმანიც სხვადა, სხვა წვრილმან სასწავლო ნივთების შესაძენად, რაიცა დასჭირდებოდეს მეცადინეობის დროს ბავშვებს, როგორადაც ფანქალა, კალამი, მელანი და სხვა.

◆ საითაც-კი გაიხედ-გამოიხედავთ, ყველა ტფილისის ნავთის გამყიდავთ ემდურება. მართლაცა და რა უბედურებაა, რომ გორსა, ქარელსა, ხაშურსა და სხვა მიუვალ ადგილებში ფუთი მანეთსა და ორშაურს არ ასცილდება და აქ-კი ფუთი ბევრჯელ მანეთ ნახევრამდის აჰყავთ?! რა არის ეს, თუ არ პირის შეკვრა?! ნუ-თუ არავინ გამოჩნდება, რომ ამათს თავგასულობის ლაგამი ამოსდონ?!

◆ ქალაქის ხორცის დუქნებიდგან ამ თვის 18, 19, 20, 21 და 22 ქალაქის კასსაში შემოსულა 4031 მან. 19 კაპ.

“რადგანაც ამ ჟამად ის ადგილი, სადაც საავადმყოფოს ვიცვალებულნი იმარხებიან, მთლად გაივსო საფლავებით, ამიტომ მიხეილის საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი პავლოვსკი სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ მან მოუჭრას ნაჭერი მიწა მიცვალებულთა საჭიროებისათვის, სანამ გარდასწყდებოდეს ნათლუღში სასაფლაოთა გადატანის საქმეო.

—

ლ. ნ. ტოლსტოის წერილი ბავშვის აღზრდის შესახებ. ბავშვს, თუ გინდა დიდს, მხოლოდ მაშინ შეუძლიან ისწავლოს რამე, როცა სურვილი აღეძვრის შეითვისოს ის, რასაც ასწავლიან საშინელი ბოროტება და შეცდომაა, როცა ბავშვს იმას უჩიჩინებენ და იმას ასწავლიან, რის შეთვისების სურვილიც სრულიად არა აქვს; ეს იქნება ბავშვის გონების გამოლაყება და დახლუნგება. თუ გვინდა, აღზრდის საქმე რიგიანად მოეწყოს, ჩემის აზრით, საჭიროა ბავშვმა შეიგნოს, რომ ციდგან მზა-მზარეულად არაფერი არ ვარდება, არამედ რასაც კი ვხედავთ გაკეთებულს, ყველაფერი ადამიანის შრომის წყალობითაა შექმნილი. ადამიანის შრომითაა ის, რითაც ის იზრდება და იკვებება. ეს რომ ბავშვმა შეიგნოს და მიჰხვდეს, ეს დიდი საქმეა. ღმერთმა ჰქნას, რომ ბავშვებს კი არა, მოზრდილებსაც შეესმინათ, ბავშვს შეიძლება ჩააგონოთ და მიახვედროთ, რომ როცა გამდელი, ან გოგო სწმენდს მისს ჩექმებს და კალოშებს, ამ საქმის დროს (გამდელი, გოგო) არავითარ კმაყოფილებას და სიამოვნებას არა ჰგრძნობს.

ბავშვი უნდა მიჰხვდეს, როცა მისთვის ჩექმებს, კალოშებს სწმენდენ, ეს მისის სიყვარულით როდი მოსდით; თუ ასე იქცევიან ან გამდელი და ან გოგო, იმისთვის, რომ, რადაც გარემოება აიძულებთ ასე მოიქცნენ და არა სხვაფრივ. დეე, ბავშმა თითონ, თავისით შეასრულოს ყველაფერი, რაც-კი საჭიროა მისთვის: თითონ გაიტანოს გარში თავის პირის ნაბანი, თავის ჩექმები და კალოშები თითონ გასწმინდოს, პირის-საბანში თითონვე ჩაასხას წყალი, თითონ დაჰკაკოს, თითონ დასწმინდოს და სხ.

ყოველივე ესე ხომ წვრილმანია, მაგრამ, გარწმუნებთ, რომ ბავშვის აღზრდაში ამას იმდენი მნიშვნელობა აქვს, რაიცა არც ფრანგულის ენის, არც ისტორიის სწავლებას არა აქვს. ყველაფერი ამის შესრულება ძნელია; ბავშვი ხალისით აკეთებს იმას, რასაც მშობლები აკეთებენ. ამისათვის საჭიროა ყოველივე ზემოხსენებული საქმე თითონ თქვენ, მშობლებმა, გააკეთოთ და შეასრულოთ. ამგვარი მოქმედება თქვენ დიდ სიამოვნებას(!) მოგანიჭებთ და თქვენს ბავშვებსაც გაახარებს.

თუ იმასაც იკისრებთ, რომ ცოტა ხანს მინდორში, ან ბაღში იმუშავებთ თქვენს ბავშვებთან ერთად, ამას ხომ აღარაფერი სჯობია.

ზრუნვა, რომ თავის მოთხოვნილებანი ბავშმა თითონვე დაიკმაყოფილოს,—ეს ერთად ერთი უტყუარი სკოლაა ბავშვის რიგიან აღსაზრდელად. დამერწმუნეთ, რომ ყამისოდ არ სუფევს არც ზნეობრივი აღზრდა და არც ის შემეცნება, რომ ყველა ადამიანი ძმები და თანასწორნი არიან.

საზოგადოება იყოფა ორ კლასად: ბატონებად და მონებად. რა სიტყვებითაც უნდა ელაპარაკოთ ბავშვებს ძმობასა და თანასწორობის შესახებ, ცხოვრება მაინც სულ სხვას, სრულიად წინააღმდეგს უუბნება. ბავშვი ეჭვის თვალით შეჰხედავს იმას, რასაც მოხუცებულები ზნეობასა და სათნოებაზედ უქადაგებენ; ეჭვი ებადება მასწავლებლებსაც მშობლების სიტყვების გამო და ბოლოს იმას დაასკვნის, რომ არც ზნეობა არსებობს და არც არაფერიო.

ამისთვის აუცილებლად საჭიროა, ყველაფერს, რასაც ბავშვს ეუბნებით და რასაც ასწავლით, პირველად ეს თქვენ თითონ გააკეთოთ და ნათქვამი საქმით დაანახოთ.

თუ ეს არ შეიძლება, ის მაინც აგრძნობინეთ, რომ ჩექმებ გაუწმენდელი კარში ვერ გავა; თუ წყალი მოუტანელია, მაშასადამე, რადას დადევს...

ჩვენებური ამბები

საგვაზაო (სამეგრელო). საგვაზაო მდებარეობს დ. აბაშიდან ოთხის ვერსტის მანძილზე. ეს სოფელი განირჩევა სხვა სოფლებიდგან წმინდა ჰაერით, რასაც ხელს უწყობს მშვენიერი გეოგრაფიული მდებარეობა. სოფელს გარშემო არტყია მოჩუხჩუხე მდინარე აბაშა. სოფელს არ მოეპოვება გონების განმავითარებელი დაწესებულება: არც სამკითხველო, არც სკოლები და აქაური გლეხების შვილები იძულებულნი არიან დღეში რვა ვერსის მანძილი გაიარონ, რომ სასწავლებელში მივიდნენ (ობაშასა და სუჯუნაში). სოფელ საგვაზაოს აქვს წისქვილი, მაგრამ ისეთი მონახევრე ჰყავს, რომ გლეხს ურჩევნია, სულ არ ჰქონდეს ეს წისქვილი.

ა. ლ.

—

აბაშა (სამეგრელო). ამ რამდენიმე დღის წინად აბაშაში ჩამოვიდა სახალხო სკოლების ინსპექტორი და წინადადება მისცა აბაშელებს და მიდამო სოფლელებს, დაუთმონ საშენობო მიწა და მისცენ ათი ათასი მანეთი, თუ უნდათ სამოქალაქო სასწავლებელი დაიარსონ.

არ გვეგონა, რომ ასეთ მძიმე პირობებს დაგვიდება ბ-ნი სახალხო ინსპექტორი. ხალხს ბევრი რამ საჭიროება აქვს და ყოვლად შეუძლებელია ამდენი ფულის გამოღება შესძლოს. ხალხი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი და არ იცის, რა ნაირად გამოვიდეს ამ მდგომარეობიდგან.

ა. ლ.

—

შულავერი (ბორჩ. მაზრა). როგორც შევიტყვეთ სარწმუნო წყაროებიდგან, მეექვსე ოლქის კეთილმოწესე მ. ს. ხუნდაძე გადაიყვანეს მღვდლად სამტრედიაში და მის ალაგას განამწესეს ბ. ნაბიჭვრიშვილი.

—

ზუგდიდი. 31 ს ამა ოქტომბერს ზუგდიდში იხსნება საქალებო ორ-კლასიანი სამასწავლებლო სკოლა, რომლის სასარგებლოდ დიდად პატივცემულმა პრინცესსა სალომე დავითის ასულმა მიურატმა შემოსწირა ქონება, ღირებული 40,000 მანეთად. აღნიშნულ დღიდგან იქნება ბავშვების მიღება.

იოანნე ბობოხიძე.

—

სოხუმი. „ივერიის“ ჩვენებურს ამბავში დაბეჭდილია, სუხუმში სიმინდის მოსავალი კარგიაო და მის გამო სიმინდის ფასიც 40 კაპეიკამდე დაიწიაო.

ეს ამბავი სრულიად სიმართლეს მოკლებულია. მართალია, მოსავალს არა უშავს-რა, მარა ჯერ არ აუღიათ, და სიმინდი 75—80 კაპ. იყიდება, თვით ამ სტრიქონის დამწერმა ვიყიდე 20-ს ამა თვეს ფუთი სიმინდი 78 კ. ძველი სიმინდი თითქმის არ იშოვება და ახალი ჯერ ნედლია და არ ჩამოაქვთ.

ჩვენკენ ცუდი დარებია, სამი ოთხი დღეა გამუდმებული წვიმს.

ღვინის მოსავალს კაი პირი უჩანს, განსაკუთრებით ადესის ყურძენი ბევრია, მხოლოდ ნახევრად არა აქვთ მოკრეფილი...

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

რენტგენის სხივები და მათი მნიშვნელობა მედიცინაში.

ჩვენს დროში რაღაა გასაკვირველი და დაუჯერებელი.—რენტგენის წყალობით ყველგან ყველასა ვხედავთ.—სხივი-მკურნალი.—ზოგიერთი ოპერაცია საჭირო აღარ არის.—ნევსის ყუნწიც-კი არ გამოეპარება რენტგენის სხივს.—კორსეტის უარყოფა ქალების მიერ.—ეგზების მორჩენა.—მელოტებსაც მოჰხედა ღმერთმა!

ამ რამდენისამე წლის წინად სამეცნიერო ჟურნალებმა გვაცნობეს, რომ გერმანელმა მეცნიერმა რენტგენმა აღმოაჩინა ისეთი საშუალება, რომლის წყალობითაც შესაძლოა განჭვრეტა გაუმჭვირვალ საგნებისა, დანახვა ისეთის ნივთისა, რომელიც ან ყუთშია დაკეტილი, ან იატაკის ქვეშაა ან და კედლის იქითა. ამავე საშუალების წყალობით შესაძლოა დანახვა ცოცხალ ადამიანის ჩონჩხისა და შიგნეულობისაო.

ბევრმა არ დაიჯერა ეს ამბავი და მოგონებულ თვალთ-მაქცობათ მიიღო, თუმცა-კი, მართალი რომ ვსთქვათ, ჩვენს დროში რა არის გასაკვირველი და დაუჯერებელი! ტელეგრაფისა, ტელეფონისა, ელექტრონისა, ფონოგრაფისა და სხვა ამ გვარ გასაოცარ აღმოჩენათა შემდეგ მაინცა და მაინც რა დაუჯერებელი იყო რენტგენის აღმოჩენა!

ახლა მთელმა განათლებულმა ქვეყანამ იცის, რა არის რენტგენის სხივები, ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ რენტგენის მიერ აღმოჩენილი საშუალება—სხივები ფრიად დიდი განძი კაცობრიობისთვის.

აი დღეს ამ რენტგენის მიერ აღმოჩენილ სხივებზედ გვექნება საუბარი მკითხველთან.

ჯერ ორიოდე სიტყვას ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ აღმოაჩინა მეცნიერმა რენტგენმა სხივები, რომლებსაც მეცნიერებაში მისი სახელი დაერქვა.

რენტგენმა ისარგებლა ელექტრონას ისეთის აპარატით, რომელიც იძლევა უძლიერეს ელექტრონის ძალას და უგრძელეს ნაპერწკალს; ეს ნიპერწკალი გაატარა შუშის მილში, რომლიდგანაც თითქმის სრულებით ამოსრუტნული იყო შიგ მყოფი ჰაერი; და ეხლა მოძრაობამ, რომელიც გამოიწვია განსაკუთრებულმა ძალამ, იმ გვარად იმოქმედა პირდაპირ მდგარ ეკრანზედ, რომელზედაც წასმული იყო ნივთიერება—პლატინა—ციანისბარი, რომ ეს უკანასკნელი განათდა, ხოლო როცა ეკრანის მაგიერ ფოტოგრაფიული ფირფიტა დასდგა, შენიშნა, რომ მასზედ წასმული ნივთიერება—ბრომის ვერცხლი ქიმიურად დაიშალა. ეს აღწერილი მოვლენა მოხდა ბნელ ოთახში.

ეხლა რენტგენმა შუშის მილსა და ეკრანს შუა ჩასდგა სხვა-და-სხვა გაუმჭვირვალი საგანი: შავად შეღებილი ქაღალდი, ხის ფიცარი, ნახშირი, ტყავი და განსაცვიფრებელი რამ აღმოაჩინა: ეს სხივები, რომლებიც ზემოხსენებულ უჭურო შუშის მილიდგან გამოდიოდა, დაუბრკოლებლივ გავიდა ყველა ამ საგნების სისქეში და ეკრანზედ წასმული ნივთიერება გაანათა; ამასთან რენტგენმა ისიც შეჰნიშნა, რომ ამ სხივებმა ვერც ერთ გვარ მეტალლში ვერ გაატანა.

ავიღოთ ნახშირი: იგი შავია თვალისთვის, მაგრამ რენტგენის სხივები-კი თავისუფლად გადის მასში და ეკრანზედ წასმულ ნივთიერებას ანათებს. ხოლო შუშა-კი, რომელიც ისე გამჭვირვალია მზის სხავებისთვის, სრულებით შავია რენტგენის სხივებისთვის და წააგავს ნახშირს დღის სინათლეზედ; ამ გვარი განსაკუთრებული თვისება შუშისა იმით აიხსნება, რომ შუშაში სხვა-და-სხვა გვარი მეტალლი ურევია (მაგ., ტყვია და სხვა). რკინაც მაგ., ეკრანზედ შავათ გამოჩნდება, რადგან მასში სხივები ვერ გადის. სხივებით განათებული რკინის ჩაქუჩი ეკრანზედ ასე გამოჩნდება: ხის ტარის პირდაპირი ბაცი ფერია, რკინის ჩაქუჩის თავი-კი შავად სჩანს.

მაშასადამე, ელექტრონის ძალა ყოფილა მიზეზი რენტგენის სხივებისა; ჩვენთვის შეუძლებელია მათი დანახვა, მხოლოდ შესაძლოა ამ სხივების აღმოჩენა იმ საშუალებით, რა საშუალებითაც მეცნიერმა რენტგენმა აღმოაჩინა.

ამ სხივების თვისებას შეადგენს განათება როგორც ადამიანის სხეულის, ისე სხვა საგნების შინაგან ნაწილებისა, რითაც მათი დანახვის საშუალება გვეძლევა.

პირველში ბევრი ვერ მიხვდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამ სხივებს მეცნიერებაში, ზოგი-კი ამ ახლად აღმოჩენილ სხივებს ისე სთვლიდა, როგორც დროს-გასატარებელ და გასართობ რასმეს.

მაგრამ რამდენი-დღეც გადიოდა, იმდენად ახალ-ახალი მეცნიერული გამოკვლევანი მოსდევდა ამ სხივებს და თანდათან ანცვიფრებდა ქვეყანას.

ჩვენ გავარჩევთ რენტგენის სხივების ორ უმთავრესს მნიშვნელობას, რომელიც მედიცინაში აქვთ: ამ სხივების საშუალებით დღეს ჩვენ შეგვიძლიან გავიგოთ ადამიანის ისეთი ავადმყოფობანი, რომელთ გაგება ან სულ არ შეგვეძლო აქამდე ან ძლიერ გვიჭირდა და მეორეც ის, რომ ამავე სხივებს დიდი გამკურნავი ძალა აქვთ ზოგიერთ ავადმყოფობათათვის; ეს ავადმყოფობანი იმ ჯგუფს შეადგენენ, რომლის წინააღმდეგ მედიცინა უღონო იყო.

ცხადია ყველასთვის, რომ რაც უფრო ადრე მიაქცევს ადამიანი ყურადღებას სენს, რომლითაც იგია შეპყრობილი, მით უფრო უკეთესია და იმედიც უფრო მეტია, რომ უფრო ადვილად და მალე განიკურნება. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ უფროს ერთ შემთხვევაში ავადმყოფი პირველშივე არ აქცევს ჯეროვანს ყურადღებას თავის ავადმყოფობას და მხოლოდ მაშინ მიჰმართავს ექიმს, როდესაც ავადმყოფობა იმდენად გაძლიერებულია, რომ მისი მორჩენა შეუძლებელია. მაგრამ არის ისეთი ავადმყოფობაც, რომელიც თავში იმ გვარი ნიშნებით დაიწყება, რომ ძლიერ იშვიათად შეიძლება ექიმმა გაიგოს და გამოიცნოს ავადმყოფობა.

ამ გვარ ავადმყოფობას, სხვათა შორის, ეკუთვნის აორტის ძარღვის ანევრიზმი. აორტას ეძახიან უმთავრეს და უმსხვილეს ძარღვს; ეს ძარღვი გამოდის გულის ამ ნაწილიდგან, რომელსაც ანატომიაში მარცხენა საკუთარ გულს (vehtrie sinisf-ს) ეძახიან. ზოგიერთ მავნე მიზეზის გავლენით აორტის ძარღვის რომელიმე მხარე თხელდება და რადგან ძარღვში მუდმივი სისხლი მოძრაობს და მაშასადამე ამ გათხელებულ ადგილსაც აწვება შიგნიდგან, აორტის ძარღვიც იწელება და ბოლოს იმდენად გაიწელება ძარღვი, რომ შესაძლოა კიდევაც გასკდეს, რასაც, რასაკვირველია, აუცილებლივ სიკვდილი მოსდევს.

როდესაც აორტის ძარღვის ანევრიზმა განვითარებულია, მისი მორჩენა შეუძლებელია, თავში-კი შესაძლოა ღონისძიების მიღება მის წინააღმდეგ, ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება მალე, ამ ავადმყოფობის გაგება. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ აქამდინ არ გვქონდა საშუალება ახლად დაწყებულ ანევრიზმის გაგებისა.

ეხლა-კი რენტგენის სხივების აღმოჩენის შემდეგ მოგვეცა ნამდვილი საშუალება გავიგოთ, შეპყრობილია ესა თუ ის ადამიანი ანევრიზმით თუ არა? იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ავადმყოფი ვერავითარ ცუდ ნიშნებს ვერ ატყობს თავის თავს. ამისთვის საჭიროა გავანათოთ ამ გვარ ადამიანის გულის ფიცარის ზემო ნაწილი რენტგენის სხივებით, ხოლო მარჯვენა მის გვერდს-კი მივადგათ ეკრანი, რომელზედაც ნათლად გამოჩნდება აორტის ძარღვის მოყვანილობა და ამით გავიგებთ, მომხდარა რაიმე ცვლილება მასში თუ არა; თუ იგი გაწელილია ცოტა მაინც, ეკრანზედ უსათუოდ დავინახავთ.

აორტის ძარღვის ანევრიზმი ისეთი ავადმყოფობაა, რომლითაც ადამიანი სიბერის დროს ხდება ავად; ახალ-გაზრდობაში-კი ძლიერ იშვიათად. ამ სენით შეპყრობილი ადამიანი, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ხშირად ისე კარგად ჰგრძნობს თავის-თავს, რომ ავადმყოფობას ყურადღებას არც-კი აქცევს; ვსთქვათ, ზის იგი საზოგადოებაში, ლაპარაკობს, იცინის, მხიარულობს, უეცრივ ვარდება სკამიდგან ფერ-მიხდილი და უგრძნობელი; რამდენისამე წუთის შემდეგ კვდება. ამ გვარ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, გული გაუსკდაო; ძლიერ ხშირად-კი ნამდვილი მიზეზი სიკვდილისა ანევრიზმია აორტის ძარღვისა.

ამიტომ ვურჩევთ ყველას, ვინც ორმოც წელს გადასცილდა მიჰმართოს რენტგენის სხივებს ყოველ საეჭვო შემთხვევაში.

ყველას გაეგონება, თუ რა ავად-მყოფობაა პლევრიტი? ამ ავად-მყოფობით შეპყრობილ ადამიანს გულის ბოყვში წყალი ჩაუდგება; ზოგს ეს წყალი დაუჩირქდება; ძლიერ ცუდი მაჩვენებელია დაჩირქული პლევრიტი და წამლობაც სულ სხვაა, ვიდრე მაშინ, როდესაც უჩირქო წყალი უდგია ავადმყოფს. აქამდინაც გვქონდა საშუალება გაგვეგო პლევრიტის სხვა-და-სხვა გვარობა, მაგრამ უფროს ერთ შემთხვევაში ეს საშუალება მძიმე იყო თვით ავადმყოფისთვის; ეხლა-კი სხივებით გამოცნობა ადვილია და მასთან სრულებით შე-

19-ს ამა თვეს ღამის 9--10 საათზე ავაზაკებმა მოკლეს მებაღე იურევიჩისა.

ს. თ.

რუსეთი

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნებართვით მოჰხდება სამხრეთ-რუსეთის ქვა-მადნის მწარმოებელთა კონგრესი. კონგრესზე განიხილავენ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული იმ დაბრკოლების თავიდგან ასაცდენად, რომელიც ქვა ნახშირის და რკინის მრეწველობას ეწვია სამხრეთ რუსითში.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეადგინა კანონ-პროექტი, თუ რა პირობებით შეუძლიანთ შეიძინონ ებრაელებმა რუსეთის ყველა ადგილებში მაწა. პროექტის ძალით, მიწა 30 დესეტინამდე ებრაელს შეუძლიან გუბერნატორის ნებართვით შეიძინოს, 50 დესიატინამდე—სამინისტროსი და 50 დესიატინას ზევით—უმაღლესის მთავრობის ნებართვით.

— კომერციული კურსები და კლასები, რომლებიც დღეს საერო განათლების უწყებაშია, გადავა ფინანსთა სამინისტროს განკარგულებაში.

— მიწად-მოქმედების დეპარტამენტს გამოუცია კრებული: „სისტემატიური კატალოგი“. მსურველს უფასოდ გაეგზავნება დეპარტამენტის ყველა გამოცემანი.

— ფინანსთა სამინისტრიას განკარგულებით 7 ნოემბერს დაიწყება სატარიფო კონგრესი რუსეთის რკინის გზის წარმომადგენელთა.

— ვარშავში მოჰხდა სიონისტთა პირველი კრება, რომელსაც 700 წევრი დაესწრო. მჭევრ-მეტყველობდნენ უმეტესად ადვოკატები და სტუდენტები. ერთს სტუდენტს ებრაულ ენაზე ულაპარაკნია, რასაც დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია. ორატორები ჰკიცხავდნენ ადგილობრივ ებრაელთა სურვილს, რომლებიც ასიმილიაციას აპირობენ პოლონელებთან, აგრეთვე საყვედურით იხსენიებდენ პოლონეთის იმ გაზეთებს, რომლებიც სცდილობენ ებრაელების გაპოლონელებას.

უცხოეთი

საფრანგეთი. პა-დე-კალეს დეპარტამენტის პრეფექტის წერილზე ადგილობრივ მღვიმე-მაღაროების დირექტორებს უპასუხნიათ—პრინციპიალურად მზადა ვართ მადნის მუშების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გავმართოთო. რაიცა შეეხება სამედიატორო სასამართლოს, ეს ჯერჯერობით ნაადრევად მიგვაჩნიაო.

სამედიატორო სამართალს ჟორესიც შეეხო და საჭიროდ სცნო იგი. კომბმა განაცხადა, ჯერ ოფიციალურად არ მიმიღია პასუხი მთამადნის მეპატრონეთაგან ჩემს შეკითხვაზე, მაგრამ ვიმედოვნებ, სამშვიდობო მოლაპარაკებაც რომ უარჰყონ მათ, სამედიატორო სამართალს მაინც დასთანხმდებიანო.

ავსტრია-უნგრეთი. სრულიად გერმანელთა დასს კანუზრახავს, მიჰმართოს მთავრობასა და რეიხსრატის პრეზიდენტს წინადადებით, რომ გადადებულ იქნას მხედრობის გაძლიერების პროექტი, რადგან უნგრეთის მთავრობასაც უარუყვია იგი. ამ პროექტს ჩეხებიც წინააღდგომიან. მიუხედავად ამისა, გამოცდილი პოლიტიკოსნი ჰგონებენ, პირველ განხილვის დროს მაინცა და მაინც დიდს წინააღმდეგობას არავინ გაუწევს ამ პროექტსაო.

უნგრეთში, როგორც გამოირკვა, ყველანი უარ-ყოფით ეკიდებიან ამ პროექტს. თუ გაზეთებს დავუჯერებთ, მთავრობა არავითარ ღონისძიებას არა ჰზოგავს, რომ როგორმე შეუთანხმდეს ოპოზიციას. მთავრობას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, ახლო მომავალში ფეიერვერი კიდევ მივა ვენას და საერთო იმპერიის ბჭობას წარუდგენს წინადადებას, რომ უარჰყონ 20,000 სათადარიგო ჯარისკაცის ნამდვილ სამსახურში ჩარიცხვა და სამაგიეროდ უნგრეთის მთავრობა დაჰყაბულდება ჯარში გასაწვევ ახალგაზდათა რიცხვის გაძლიერებასაო. სელლის იმედი აქვს, რომ ამ გვარ პროექტს პარლამენტიც მხარს მისცემს. თუ მინისტრ-პრეზიდენტს ამ შემთხვევაშიაც არ უღალატა ბედმა, მისი მდგომარეობა ისევ გაუმჯობესდება.

მაკედონია. ცხადადა სჩანს, რომ მაკედონიაში აჯანყება თანდათან ძლიერდება, თუმცა-კი მოძრაობა უფრო ბოლგარიის საზღვრებზე ემჩნევა. მეამბოხენი გამაგრებულნი არიან პირინის, მალეშოვისა და ბელასიცკის მიუვალ ხეობებში და ჯუმაის ჩრდილოეთით მთის კალთებზე, ზედ ბოლგარიის საზღვრებზედ, ბისტრიცის ხეობის დასწვრივ. აქ, როგორც ეტყობა, მეამბოხენი თავისუფლად ჰგრძნობენ თავის თავსა, მაგრამ ის უჭირვებს საქმეს, რომ გამუდმებით აწყდება მათ სოფლებიდგან ლტოლვილნი ქალნი და ბავშვნი, რომელნიც ბოლგარიაში მიეშურებიან თავიანთის საქონლით; დიდძალ ბავშვსა, ქალსა, მოხუც მამაკაცთა მოუყრია თავი აგრეთვე რილის მონასტრის მიდამოებსა და ბოლგარიის მსაზღვრავ ოლქში.

— ბოლგარიის გაზეთებს მეტად სამწუხარო ამბები მიუღიათ მელნიკის მიდამოებიდან, სადაც ცონჩევისა და სარაფოვის მომხრეებს ერთმანეთში უთანხმოება აქვთ. სოფელ მუშტანცთან, რომელიც ოსმალებმა გადასწვეს, ოსმალებსა და მეამბოხეებს შეჯახება მოუხდათ. ოსმალებმა გაანადგურეს სოფ. ელესნიცა და პადეჟი. სერბინოს, გრადოვოს, ორანოვოს, ოშტვას, სერესნის და სხვა. ჯუმაიდან მოკიდებული მელენკამდე მდებარე სოფლების მცხოვრებნი შეუერთდნენ მეამბოხეებს, რომელთაც წინამძღვრობენ მაკედონიის მკვიდრნი, ბოლგარიის სათადარიგო ოფიცრები. ოსმალები გაურბიან მეამბოხეებთან ბრძოლას, ხოლო უიარაღო მეცხვარეებსა და ქალ-ბავშვებზე თამამად მიაქვთ იერიში. ამ დღეებში, პირინის მთებში ოსმალეთის ჯარი დაეცა მშვიდ მცხოვრებთ და რამდენიმე ასი კაცი მოჰკლა. ოსმალები ცეცხლს უკიდებენ აგრეთვე ტყეებს, რომ მით მოუსპონ მეამბოხეთ თავ-შესაფარი.

— ბულგარიის გაზეთების სიტყვით მაკედონიელნი დიდად გაახარა გენერალ ცონჩევის მოსვლამ, რომელმაც თავს იდვა მეამბოხეთა ხელმძღვანელობა და იტვირთა მთავარსარდლობა. მის გარშემო იკრიბებიან ყოველი მხრიდან ბრძოლის მსურველნიო.

— სტამბოლში ხმას ავრცელებენ იბრაჰიმფაშის მაკედონიაში მარჯვედ მოქმედების შესახებ. ეს ფაშა წინამძღვრობს 25 ბატალიონს და 5 სამთო ბატარეიას. 2-ს (14-ს) ოკდომბერს იბრაჰიმ ფაშამ თავის ჯარით გაილაშქრა ზერესის სანჯაყისაკენ და თავს დაესხა ბულგარელ მეამბოხეთა რაზმებს. მეამბოხენი ზოგნი გაიფანტნენ და ზოგნიც ბულგარიაში გადვიდნენ. დანარჩენ ბრბოთა დევნა ოსმალებს ძალიან უძნელდებათ ურღან ადგილებისა და ცუდ ამინდების გამო.

ოსმალნი ასე ოცნებობენ, მაგრამ საქმე-კი სულ სხვანაირად უნდა მიდიოდეს. ოსმალები რომ „დანარჩენ ბრბო“-ებს უწოდებენ, სწორედ იგინი გახლავან მაკედონელთა უმთავრესი, ძალ-ღონით სავსე, რაზმის პატარ-პატარა ნაწილები. მაგრამ მტრის ძალამ-კი არ გაჰფანტ-განაცალკევა იგინი. არა! ეს მათი სამხედრო ხერხი იყო; შეხვდებიან თუ არა ურიცხვ ოსმალთა ჯარებს, პირდაპირ ბრძოლის მაგივრად პატარ-პატარა რაზმებად იყოფიან და მტერს ღამე და დღე მოსვენებას არ აძლევენ. ოსმალებმა კარგად იციან, რასაც სჩადიან მეამბოხენი, მაგრამ გულს იკეთებენ, ჩვენმა ჯარებმა გაჰფანტეს ბრბონიო. დიაღ! ოსმალებს შებრძოლება ურჩევნიანთ, რადგან ტრიალ მინდორზედ თავის ურიცხვის გაწვრთნილ ჯარებით, მალე სძლევენ მეამბოხეთ. ეხლა-კი, უადგილობის გამო მათი ზარბაზნები და დიდძალი მხედრობა ვერ ახერხებს თავის ძლიერების გამოჩენას. რომ გაშლილ ადგილზე შეხვდნენ ეს მოპირდაპირენი ერთმანერთს, ყოველ ეჭვს გარეშეა, ორ-სამ დღესაც ვერ გაუძლებენ მათ მეამბოხენი. ეხლა-კი რაც უნდა სდიონ მათ თავიანთ ზარბაზნებით, რომლებიც ზოგი კლდეში ვარდება და ზოგი ღრეში, მაინც ვერას გააწყობენ.

მეამბოხეთა მარჯვედ მოძრაობას თვით ოსმალნიც აღიარებენ; მათის გაზეთებისავე სიტყვით, ვინიცისა და პეტრიჩის მახლობლად, სადაც მეამბოხეთა ბელადი იანკოვი (ალბად ცნობილის პოლკოვნიკის მოგვარე) იქმნა მოკლული, საოცარის მძვინვარებით ეკვეთნენ თურმე ოსმალოს ჯარს მეამბოხენი. თუ ოსმალთა ჩივილსაც მივიღებთ სახეში—მეამბოხე ბულგარნი საოცარის სისასტიკით გვეპყრობიანო, ცხადია, რომ მეამბოხეთა მდგომარეობა არც ისე უიმედო ყოფილა, როგორც ზოგიერთნი ჰგონებდნენ.

— სტამბოლიდგან იუწყებიან,—აქ მოიყვანეს დაჭრილნი ოსმალეთის ჯარის-კაცნი და ტყვე მეამბოხენი, რომელთა შორის ერთი მღვდელიც არისო.

— სოფიიდგან იტყობინებიან, —გენერალი ცონჩევი ამ ჟამად ბულგარიის სამფლობელოში იმყოფებაო.

სხვა-და-სხვა წერილები

სამეურნეო სასწავლებლის დაარსების გამო.

დადგა დრო ფეოდალიზმის დაცემისა,—გაიძახის დღეს განათლებული ნაწილი საზოგადოებისა. და, მართლაც, ყოველივე ძველს ელფერი აკლდება, მიდის დავიწყებისაკენ. მაგრამ ერთი გვკითხოთ, თუ რა მდგომარეობაში არის ახალი, რა შექმნა მან ცხოველ-მყოფელი? რასაკვირველია, ბევრი რამ, მაგრამ, ნუ-თუ მარტო ის კმარა დღევანდელი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რომ ძველი დავგმოთ და ახალი გადიდოთ? რამდენი წყლულები აქვს ამ ახალს მოსარჩენი, ამას როდი-და ანგარიშობენ! მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ ძალა, უნდა მისთანა მალამო გამოვსძებნოთ, რომ ამ წყლულების განკურნება შევიძლოთ. დიაღ, თავად-აზნაურობა დღეს დაწყლულებულ მდგომარეობაშია მეურნეობის უცოდინარეობის მხრივ, ამას ნათლად ჰხედავს ყველა. ორიოდე კვალი მიწა საცა აქვს, ხელიდგან ეცლება და სხვის საკუთრებად ხდება. უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობისა შეადგენს იმ ჯგუფს, რომელსაც შრომის და მიწის შემუშავების არაფერი გაეგება. ამის მიზეზს, რასაკვირველია, წარსულში ვხედავთ და ამაზედ ლაპარაკი ზედ-მეტად მიმაჩნია, რადგან, ყველამ უწყის, ისტორიის კანონები თავისას არ იშლიან და ეს უქმი ხალხი თან-და-თან ეჩვევა მუშაობას. სამწუხაროდ, დღევანდელს სოფლის აზნაურს შრომა რომ მცირედ ჯილდოს აძლევს, ეს-კი ცუდი მოვლენა არის ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრებისთვის, ამის უმთავრესი მიზეზია სრულებით არ ცოდნა მეურნეობისა. ამიტომაც საჭიროა, შეიგნონ ჩვენმა მეთაურებმა სამეურნეო ცოდნის შეძენის საჭიროება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დღეს დიდი თავ-სატეხი კითხვაა დაბადებული იმერეთის თავად-აზნაურთა შორის, თუ რა ტიპის სკოლა დაარსონ იმ 20,000 მანეთით, რომელიც უმაღლესმა მთავრობამ უწყალობა მათ. ჯერ იყო და ერთი ალიაქოთი ასტყდა, თუ რისთვის მოეხმარებინათ ეს ფული, სკოლები დაეარსებინათ, თუ სტიპენდიები. როგორც იქმნა, გადაწყდა ეს კითხვა, ეხლა-კი ბჭობენ, თუ რა ტიპის სკოლა იქმნას დაარსებული. ბევრი გაიძახის, სააზნაურო ინსტიტუტიო, ბევრი კიდევ ქალთა საშუალო სასწავლებელიო და უმცირესი ნაწილი-კი სამეურნეო სასწავლებელს ასახელებს!.. რასაკვირველია, პირველი და მეორეც ძალიან კარგი იქნება ჩვენთვის, მაგრამ მესამეს რომ მთავარ ყურადღებას მიაპყრობდნენ და უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოების სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას მიემხრობოდეს, ეს უფრო უკეთესი და უფრო სასარგებლო იქნებოდა.

დღეს ჩვენი ხსნა მეურნეობაშია. მხოლოდ მეურნეობით შეიძლება გამობრუნდეს ჩვენი ადგილ-მამული და არ ჩაუვარდეს ჩვენი ხალხი ხელში გაჭრებსა და ჩარჩებს. დღეს ჩვენმა ხალხმა რომ ნაკლებად იცის მიწის დამუშავება, მოსავალსაც ნაკლებს აძლევს მიწა მეპატრონეს. ისიც ამ მცირე შემოსავლით ვერ აკმაყოფილებს თავის უზომო მოთხოვნილებას და იძულებულია, დღეს ერთი ქცევა ჩამოსჭრას თავის მიწას, ხვალ მეორე, ზეგ კიდევ მესამე და გაჰყიდოს. ზღვა კოვზით დაილაოო, ნათქვამია და, მასაც ამნაირად ეცლება ხელიდგან ეს მამა-პაპათაგან დანატოვარი საუნჯე ადგილ-მამული და ხდება ბოგანოდ. მეურნეობა რომ გავრცელდება, მიწის დამუშავებას საფუძვლიანად რომ შეისწავლის ჩვენი ხალხი, მაშინ აღარ მოხდება ეს. მაშინ მიწის მუშა დარწმუნებული იქნება, რომ მისი შრომა ერთი ორად ნაყოფს გამოიღებს და ტყვილა უბრალოდ არ ჩაუვლის ოფლის ღვრა.

ამიტომ საშუალო სამეურნეო სასწავლებელი სწორედ სულზედ მისწრება იქნება ჩვენი სოფლისთვის, იმ ხელ-მოკლე ხალხისთვის, რომელსაც სიღარიბისა გამო ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელს იქით ვერ გაუშორებიათ თავიანთი შვილები სამეურნეო სწავლის მისაღებად. 20,000 მანეთით მაინცა და მაინც სამეურნეო სასწავლებელზე გამოსადეგ სკოლას ვერ შევქნით, და სამეურნეო სასწავლებელი-კი გაცილებით უსაჭიროესია ჩვენთვის. შემთხვევაც კარზედ გვადგია, თუ ვისარგებლებთ. ისეთს საქმეს ნუ ვიქმთ, ერთი ანდაზის არ იყოს, შინაც სადილს მოვსცდეთ და გარედაც ქორწილსო, ისე ნუ მოვიქცევით, რომ სტიპენდიების დაუარსებლობით ზარალი მივსცეთ უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეთ და საშინაო სწავლის საქმეც ვერ მოვაწყოთ სასარგებლოდ. სამეურნეო სწავლის დაარსებით ჩვენ მივსცემთ ხალხს ადგილ-მამულის დამუშავების ცოდნას, შევასწავლით წერა-კითხვას და სხ.

ოლიმპიადა ბაქრაძე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„სოდომის წარღვნა“, დრამა 5 მოქმ. გენ. ზუდერმანისა, თარგმ. შ. გველესიანისა.

რამდენად არის დამოკიდებული ამა თუ იმ დრამატიული ნაწარმოების ბედ-იღბალის გადაწყვეტა მსახიობთა თამაშობაზე, ეს თვალნათლივად ვნახეთ ხუთშაბათის წარმოდგენის დროს.

ზუდერმანის „სოდომის წარღვნა“ ჩვენს სცენაზედ ხელოვნების წარღვნა გახლდათ და არა ამ დრამის წარმოდგენა. იმდენად უფერული, უსულგულო გამოჩნდა ეს პიესა ქართულ ხელოვნების ტაძარში, რომ აქა-იქ მაყურებლებისაგან გვესმოდა, რათა სდგავენ ამისთანა უხეირო პიესებსაო.

დავარწმუნებთ იმ მაყურებელთ, რომ აქ პიესის უხეირობა არაფერ შუაშია და თუ მთელი საღამო ჩვენს თეატრში მოწყენილობის აჩრდილი მიმოქროდა და ჩვენი ბაგენი წამდაუწუმ დასამთქნარებლად განიპობოდნენ, ამისთვის მადლობა ზუდერმანს-კი არ ეთქმის, არამედ მხოლოდ ქართველ მსახიობთ. გუშინწინ ზუდერმანი ჩვენს თეატრში რომ ყოფილიყო, იქნება იმასაც იგივე ეთქვა, რაც ზოგიერთმა ბრძანა და ამის მიზეზი ის იქნებოდა, რომ თავისს არამც თუ უხეიროს, არამედ ჩინებულს პიესას იგი ვერ იცნობდა.

ამ ჟამად დრამის განხილვას არ შევუდგებით, რადგანაც ეს განხილვა მოითხოვს საკმაო დროს და ადგილს; ჩვენ-კი არც ერთი მოგვეპოვება ამ ხანად, არც მეორე; ვიტყვით მხოლოდ, რომ „სოდომის წარღვნა“ ამდროუ-

---

უმჩნეველია ავადმყოფისთვის. ძლიერ ძნელი იყო და ხან შეუძლებელიც სხვა-და-სხვა გვარ სიმსივნის გამოცნობა ადამიანის გული ბოყვში, გულისა და ხერხემლის შუა მდებარეთა. ძლიერ დახელოვნებული უნდა იყოს ექიმი, რომ გაიგოს, თუ რა სიმსივნეა ზემოდასახელებულ ადგილას; კუ არის თუ ლიმფატიური ჯირკვალის რომელიმე მავნებელი სიმსივნე. ეხლა ამ გვარ სიმსივნეთა გაგება ძლიერ გაადვილდა რენტგენის სხივების წყალობით.

მაგრამ ყველაზედ უძნელესია მუცლის სიმსივნეთა გამოცნობა; რამდენად ძნელია, სჩანს იქიდგან, რომ ექიმები იძულებულნი არიან ავადმყოფს მუცელიც-კი გაუჭრან სიმსივნის გამოსაცნობად.

ამ გვარ ოპერაციას ეძახიან გასაშინჯ ლაპარატომიას (მუცლის გაჭრაა); რასაკვირველია, ეხლა მუცლის გაჭრა სრულებით საჭირო არ არის და ახლად აღმოჩენილ სხივების წყალობით მრავალი ავადმყოფი გადარჩება ამ გვარ საშიშ ოპერაციას.

ხშირად ადამიანს ისე დაუშავდება ხელი, ფეხი ან სხვა ნაწილი სხეულისა, რომ სიმსივნის გამო ძლიერ ძნელია გაგება იმისი, დაშავებული აქვს ძვალი თუ არა? ამიტომ ექიმები იძულებულნი არიან მოიცადონ იქამდინ, სინამ ავადმყოფს დაშავებულ ნაწილის სიმსივნე არ დაუცხრება. ამ გვარი ლოდინი სხივების აღმოჩენის შემდეგ საჭირო არ არის სრულებით. საჭიროა მხოლოდ გაანათოთ დაშავებული ნაწილი რენტგენის სხივებით, რომ ეკრანზედ ნათლათ გამოჩნდეს ძვალი და თუ სადმე გაბზარულიცკია გავარჩევთ.

ერთ სამედიცინო ჟურნალში შემდეგი შემთხვევა იყო აღწერილი: ერთმა ახალგაზრდამ წაქცევის დროს დაიშავა მუხლი; საუკეთესო ქირურგმა გაუშინჯა რა მუხლი, გამოუცხადა ავადმყოფს, მუხლი მხოლოდ ნაღრძობი გაქსო და თბილ-თბილი კომპრესები დაუნიშნა. მაგრამ ქირურგმა ავადმყოფის თხოვნით მუხლი რენტგენის სხივებით გაუშინჯა; წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როდესაც სხივების წყალობით გაარჩია, რომ მუხლის თავი გატეხილი იყო; მაშინ ქირურგმა, რასაკვირველია, სულ სხვა გვარი წამლობა დაუწყო.

ტყვია და საფანტი, ჩარჩენილი სხეულის რომელსამე ნაწილში, თუნდ შიგ შუა ტვინში ან მუცელში, რენტგენის სხივების წყალობით ადვილი აღმოსაჩენია; თვით ნემსის კუნწიც-კი ვერ დაემალება სხეულში ამ დალოცვილ სხივებს; ეკრანზედ მაშინვე შავად გამოაჩენს.

ვსთქვათ ვისმეს ტყვია მოხვდა და ჩარჩა სხეულის რომელსამე ნაწილში; უფროს ერთ შემთხვევაში ტყვიის პოვნა შეუძლებელია, რასაც, რასაკვირველია, ძლიერ ცუდი შედეგი მოსდევს დაჭრილისათვის; ზოგი გაუბედავი ქირურგი არც-კი დაუწყებს ძებნას!

Fauburg-ში S-t Antoine-ში ერთმა მდიდარმა მექარხნემ დაითხოვა სამსახურიდგან ერთი თავისი მოსამსახურეთაგანი, რომლისაგანაც საჩუქრად რევოლვერის სამი ტყვია მიიღო; ერთი მათგანი გულის ბოყვში მოხვდა და იქ ჩარჩა. ბევრს ეცადნენ ექიმები, მაგრამ ტყვია ვერ უპოვნეს, დაახლოვებითაც ვერ გაიგეს, რა ადგილას უნდა ჩარჩენილიყო ტყვია. ავადმყოფს-კი სისხლი ამოჰქონდა ნახველთან ერთად. ბოლოს მიჰმართეს რენტგენის სხივებს, ეკრანზედ გამოჩნდა ტყვია, რომელიც გაჩერებულიყო მესამე და მეოთხე ნეკნს შუა ბეჭს ახლოს; იმ დღესვე ტყვია ამოუღეს.

ყველას მოეხსენება, თუ რა საშიშია და რა ძლიერ მოდებულია მთელ დედამიწაზედ ჭლექი; აგრეთვე ყველას გაუგონია, რომ ეს სენი შეუმჩნევლად ეპარება ადამიანს და სწამლავს მის სხეულს. რაც უნდა ახლად დაწყებული იყოს ეს სენი, რენტგენის სხივებს მაინც ვერ გამოეპარება: ფილტვების ის ნაწილი, რომელიც ამ სენითაა მოწამლული, უფრო მოშავოდ სჩანს ეკრანზედ, ვიდრე დანარჩენი საღი ნაწილები.

ამ სხივების წყალობითვე შეგვიძლიან გავიგოთ ყოველ გვარი-ავადმყოფობა ფილტვებისა.

ამბობენ, პორტუგალიის დედოფალმა გადააჩვია თავის სეფე ქალები კორსეტის ხმარებას მხოლოდ მით, რომ აჩვენა რენტგენის სხივებით კორსეტით დამახინჯებული გულის ნეკნები.

მარსელის ერთ გამოჩენილ პროფესსორს ყელზედ ძვალი დაადგაა, რომელიც, როგორც ექიმებმა გამოიკვლიეს, უნდა გაჩერებულიყო საჭმლის სადენ მილში. გადასწყვიტეს გაეკეთებინათ ოპერაცია. ხოლო სანამ ოპერაციას გაუკეთებდნენ, მიჰმართეს რენტგენის სხივებს და აღმოაჩინეს, რომ ძვალი კუჭის შესავალთან გაჩერებულიყო, ოპერაციაც ამ შემთხვევაში სრულებით უსარგებლო აღმოჩნდა,

ამ სხივების წყალობითვე შეგვიძლიან გავარჩიოთ ორსულის ქალის საშვილოსნოში ბავშვის ყოველი ნაწილი და ამით წინდაწინვე ვსთქვათ, რა მშობიარება ექმნება დედას.

წინად მხოლოდ მკვდარს ადამიანზედ იყო შესაძლო ანატომიის შესწავლა, ეხლა-კი ამ სხივების წყალობით ცოცხალზედაც შეიძლება: გაანათეთ ადამიანი სხივებით და შეხედეთ ეკრანს: თქვენ ჰხედავთ გულს, ჰხედავთ როგორ იშლება და იკუმშება, რათა დაავსოს ძარღვები სისხლით, ჰხედავთ როგორ განიერდება ფილტვები და შემდეგ იფუკება. ჰხედავთ აგრეთვე ნაწლევებს, რომლებიც გველივით იკლაკნება. ამ გვარი გასაოცარი სურათი მხოლოდ რენტგენის სხივებმა დაანახვა ადამიანს!

რენტგენის სხივებს გამკურნებელი თვისებაცა აქვს.

განსაკუთრებული გამკურნებელი თვისება აღმოაჩნდა ამ სხივებს კანის ავადმყოფობათა შესახებ; ამ გვარი გამკურნებელი თვისება მით უფრო საყურადღებოა, რომ კანის ავადმყოფობათა წამლობა მედიცინაში ძლიერა კოჭლობს.

ძლიერ მალე არჩენს ეკცემას. ეკცემა არის კანის ანთება; ეკცემით ავადმყოფი მთელის წლობით იტანჯება; მთელი დღე და ღამე გამუდმებული ქავილი აქვს ავარდნილი, ხოლო რამდენს მეტს იქავებს, იმდენად ქავილი უმატებს და ავათ-მყოფობაც უძნელდება. წამლები-კი იშვიათად არჩენს ეკცემას.

ეხლა, როგორც სჩანს, რენტგენის სხივები რამდენისამე სეანსის შემდეგ ქავილს უცხრობს, მათი გავლენით კანს სიწითლე და სიმსივნე აკლდება, ბოლოს ავადმყოფი სრულებით რჩება.

არის ერთგვარი კანის ავადმყოფობა, რომელიც არის იგივე ჭლექი, მხოლოდ კანისა (და არა ფილტვებისა); ამ ავადმყოფობას ლათინურად lupus-ი ჰქვია. ძლიერ ხშირად ამ სენით უფრო ახალგაზრდა ხდება ავად, ვიდრე მოხუცი. აქამდე ამ სენს ვერა წამალი ვერ არჩენდა, მეცნიერმა ფინზენმა შემოიღო lupus-ის სინათლით წამლობა, რომლითაც მართლა ძლიერ ბევრი განკურნა; ფინზენი ხმარობს მზის სინათლის მაგიერ ელექტრონის სინათლეს, რომელიც ჰმოქმედობს მხოლოდ კანის ზევითა ნაწილებზედ, ქვემო ნაწილებზედ-კი სუსტად ჰმოქმედობს. საზოგადოდ ამგვარი წამლობა ძლიერ დიდ-ხანს გრძელდება.

სცადეს რენტგენის სხივები: აღმოჩნდა, რომ ეს სხივები შედარებით უფრო მალე არჩენს, ვიდრე ფინზენის სინათლე; გარდა ამისა ეს სხივები კანის ქვემო ნაწილებზედაც ძლიერ ჰმოქმედობს. მელოტებსაც ღმერთმა მოხედა! ამ სხივების გავლენით მშვენიერი თმა ამოსდით თურმე მელოტებს.

მოვიყვანთ ერთს შემთხვევას: მელოტს თავის ერთ ნახევარზედ დააფარეს რკინის ფურცელი: რომელსაც, როგორ ზემოდ ვსთქვით, სხივები ვერ გაატანს, თავის მეორე ნაწილს-კი დაუწყეს სხივებით წამლობა და მართლაც ცოტა-ხნის შემდეგ მელოტს ამოუვიდა ახალი თმა, დაფარებული ნაწილი-კი უთმოდ დარჩა.

უკანასკნელ ცნობათაგან სჩანს, რომ ეს სხივები კუზედაც ჰმოქმედობს და არჩენს. კუ ადამიანს სიმსივნესავით გამოაჩნდება, თან-დათან იზრდება, მერმე-კი იარავდება, იხრწნება და სწამლავს სხეულს; ამ სენისაგან მორჩენა შეუძლებელია!

კუ ადამიანს სიბერის დროს გაუჩნდება ან მინაგან ორგანოებში ან და კანზედ. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ეს სენი თან-და-თან ვრცელდება: უფრო ხშირად-კი კუ უჩნდება დედა-კაცს საშვილოსნოში.

ამ ცოტა ხანში რამდენმამე მეცნიერმა გამოაცხადა სამედიცინო ჟურნალებში, რომ ვითომ კუს მიკრობი აღმოვაჩინეთო, მაგრამ რამდენად მართალია ეს აღმოჩენა, ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვით.

როგორც ჰხედავთ, რენტგენის მიერ აღმოჩენილი სხივები ფრიად სასარგებლო ყოფილა კაცობრიობისათვის და ასეთ სახელოვან კაცზედ, როგორიც რენტგენია, თქმულა ის სიტყვები, რომელიც უკვდავმა Claude Bernard-მა სთქვა: ახალ გამოკვლევისთვის მეთოდის და მანქანის გამომგონი უფრო ხელს უწყობს მედიცინის განვითარებას და უფრო ღირსიცაა მთელის კაცობრიობის მადლობისა, ვიდრე ღრმა მოაზრე და გამოჩენილი ფილოსოფოსიო.

ექიმი ბადრიძე.

ლია, ცხოველის აზრით მოსული და ეხება მეტად საჭირ-ბოროტო საგანს ცხოვრებისას; იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად თავბრუ დამსხმელია ნიჭიერ ადამიანის პირველი გამარჯვება ხელოვნების ასპარეზზედ, რამდენი ცდუნება მოელის მას ამ გამარჯვების შემდეგ და რამდენად უნდა იყოს კაცი ზომიერის ხასიათისა, რომ მოულოდნელის ბედნიერებით გატაცებულმა თავი არ გაიფუჭოს და არ დაჰყუპოს ის ღვთიური განძი, რომელსაც ტალანტი ეწოდება და რომელიც მარტო მისი საკუთრება როდია. ამასთანავე დრამა გვიხატავს იმას, თუ რა ზომამდე ჰხრწნის ნიჭიერების გვირგვინით მოსულს ადამიანს გავლენა ეგრედ წოდებულის მაღალის საზოგადოებისა, რომელიც მას ისე უყურებს, როგორც ძვირფასს სათამაშოს, ან ნივთს და არა როგორც ადამიანს.

პიესა სავსეა ცოცხალის დიალოგებით და მოძრაობით. იგი მხოლოდ ჰსაჭიროებს სხარტსა და მგრძნობიერ თამაშს.

და აი სწორედ ამ მხრივ იყვნენ დაქვეითებულნი ჩვენი მსახიობნი.

კოტე მესხი ვილლი იანიკოვის როლში (უმთავრესი გმირი) მოგაგონებდათ შემდეგ თქმულებას: „ფორმა უშინაარსოთ“. დიაღ, კოტე მესხი თამაშობდა ამ როლს ისე, როგორც იგი დასახული აქვს ავტორს და ეს იმას გვიმტკიცებს, რომ მსახიობს კარგად შეუგნია, ვინ ან რა არის მხატვარი ვილჰელმ იანიკოვი, მაგრამ ეს თამაშობა იყო გარეგნული. სრულიად ეთანხმები მსახიობს, რომ ამა თუ იმ მომენტის დროს ხელი სწორედ ისე უნდა გაშალოს ვილლიმ, როგორც გაშალა ბ. მესხმა, თავიც მისებრივ უნდა გააქნიოს, თვალებიც მილულოს თუ დააბრიალოს. ხმაში აღტაცების ან სასომიხდილობის კილო ჩააწვეთოს,—ეს ყველაფერი თავ-თავის დროზედ იყო კოტე მესხის თამაშობაში,—მაგრამ... მაყურებელი მაინც გულ-ცივად უყურებდა ვილლის ტანჯვა სიხარულს; არც ერთი და არც მეორე მის გულის სიღრმემდი როდი სწვდებოდა. და ეს-კი იმით აიხსნება, რომ მის წინ მხოლოდ მსახიობი იყო, მსახიობი, რომელიც ცდილობს დაგვიხატოს ვილლის ესა თუ ის სულიერი მოძრაობა, მხოლოდ თითონ-კი არა გრძნობს თვისის არსებით ამ მოძრაობასა და როდია გამსჭვალული მომქმედ-პირის მწუხარება-ბედნიერებით.

ამის გამო თვით ძლიერი მომენტები ვილლის სულის კვეთებისა საზოგადოებამ არაფრად მიიჩნია და მოწყენილის სახით უყურებდა მსახიობთ, თითქოს ეხვეწებოდა ჩქარა გაათავეთ—ძილი მომერიაო.

თუ რომ კოტე მესხი იყო „ფორმა უშინაარსოთ“, ქ-ნი კარგარეთელი ადდას როლში არც ფორმა გახლდა და არც შინაარსი. ადდას მომხიბლაობა, მელა-კატური ბუნება, რომელიც ანგარიშ მიუცემლად იზიდავს ამ ქალისაკენ ნიჭიერ მხატვარს ვილლის და ჰლუპავს მას,—იოტის ოდნათაც ვერ დაგვანახვა მსახიობ—ქალმა.

ვ. გამყრელიძეც უფერული იყო პროფ. ნიმანის როლში და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ ერთი რომ მეტად ეჩოთირებოდა სახელოებ მოკლე სერთუკი და მეორეც იმიტომ, რომ აქაო და პროფესორი ვარ მხატვრობისა, ცოტა არ იყოს, მეცნიერულ ზვიადობას იჩენდა; ეს საჭირო როდია, ნიმანი, თუმცა პროფესორია, მაგრამ ამასთანავე სადა და უბრალოა კაცია.

დებიუტანტმა ბ-ნმ ა. ანანიაშვილმა კრამერის როლი დასაწყისში კარგად დაიწყო; გვიჩვენა ზოგიერთი წვრილმანი მოქმედება, რომლითაც გულხმიერ გვყო, რომ იგი პირველად არ გამოდის სცენაზედ და აქვს ცოტაოდენი გამოცდილება. მაგალითად შესაფერისად აღნიშნა მეორე მოქმედებაში კლერხენთან ლაპარაკის დროს, კრამერის გაუბედაობა და ამავე დროს უზომო სიყვარული ამ ქალისადმი, რვეულის ხელში ტრიალი, თვალების გაუბედავად შებრუნება და დახრა და კილო ლაპარაკისა ყველა ეს ბუნებრივი იყო. მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებაში საკმაოდ ვერ გამოიჩინა ტრაგიკული პაფოსი, როცა კრამერი გაიგებს, რომ ვილლიმ გააუპატიოსნა კლერხენი. არც გასაკვირველია ესა, რადგანაც ეს წამი მეტად ძლიერი რამ არის და სულთაძვრა კრამერისა მოითხოვს მსახიობისაგან უმწვერვალეს გრძნობათა მეტყველებას.

წარმოდგენის საერთო უფერულობის სურათზედ ორ ბრწყინვალე ფერადად უნდა აღვნიშნოთ ქ-ნი ლეჟავა და ბ-ნი გედევანოვი.

ქ-ნ ლეჟავას აკლია ყოველივე ის, რაც ყოვლად სრულის მსახიობის ერთ მხარეს შეადგენს, ე. ი. ტეხნიკა. სამაგიეროდ მინიჭებული აქვს ის, რასაც ცხოველი სული ეწოდება. სწორედ ამ უცნაურ ალღოს წყალობით ხან-და-ხან ქ-ნი ლეჟავა ძლიერს შთაბეჭდილებას იქონიებს ხოლმე მაყურებელზედ, მაშინაც-კი როდესაც იგი არა მსახიობობს, ე. ი. არა ცდილობს ამა თუ იმ მოძრაობით, მიმოხვრით აღნიშნოს სულიერი ვითარება მომქმედ-პირისა. და თუ ვხედავთ ქ-ნ ლეჟავას თამაშობაში გარეგან მოქმედებას,—ეს მოქმედება მას გონებით განსაზღვრული-კი არა აქვს, არამედ არტისტიულის ინსტიქტის წყალობით უცბად არის მონაბერი.

აი, სწორედ ასეთივე იყო მისი თამაშობა, „სოდომის წარღვნაში“. კლერხენი, (რომლის პროტოტიპია გეტეს უკვდავი მარჰარიტა) ქ-ნის ლეჟავას მიერ გაპიროვნებული, თვალწინ წარმოგვიდგა ვით ჭეშმარიტი განხორციელება სიწმიდისა და კდემა-მოსილებისა. ქ-ნ ლეჟავას გამოსვლისათანავე საზოგადოებას ეფინებოდ რაღაც ცხოველი შუქი, რომელიც სითბოთი ავსებდა მაყურებლის არსებას, ამავე დროს ქ-ნი ლეჟავა როდი ცდილობდა წარმოედგინა როლი... მაშასადამე, ამ მსახიობ ქალის არსებაში მოიპოვება ის უცნაური ნიჭი, რომელსაც ზევით ცხოველი სული ვუწოდეთ.

ბ-ი გედევანოვი შეუდარებელი მოხუცი იანიკოვი იყო. გრიმიდგან დაწყებული ტანისამოსამდე (ჩვეულებისამებრ, არც ახლა დაჰვიწყებოდა წითელი ბაღლადი) ფუსფუსა და მშრომელი ნემეცი გახლდათ. რეალიზმი მისის თამაშობისა გამოიხატა განსაკუთრებით ჩექმების ჩაცმაში, რაც დიდის ხვნეშა-კვნესით მოახერხა და სიმთვრალის სცენაში; ისე უკიდებდა ენას, ისე ჩიფჩიფებდა, რომ სრულიად დაგვავიწყა თვისი მსახიობობა.

ქ-ნ რონელს კიტის (პასუხ-საგები როლია) არა უშავდა-რა და უფრო კარგი იქნებოდა, როლი რომ ბეჯითად სცოდნოდ. ეს არის მხოლოდ, რომ მეტის მეტი მწივანა ხმა აქვს, რაც მსახიობს საშინლად უშლის ხელსა.

შათირიშვილს და გაბუნია-ცაგარლისას უფერული როლები ჰქონდათ.

წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო.

ქ. ბათუმი. 20 ოკდომბერს, კვირას, რკინის გზის თეატრში ა. წუწუნავას სასარგებლოდ გამართულ იქმნა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ეხლანდელი სიყვარული“ კომ. 4 მოქ. ვ. აბაშიძისა და „ორი მშიერი“, 1 მოქ. წარმოდგენას მრავალი საზოგადოება დაესწრო. წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ს. ხარაზოვმა. კარგი იქნება, ბ-ნი ხარაზოვი ჩაეწერებოდეს მუდმივ დრამატიულ დასში და მით სამსახურს გაუწევდეს სამშობლო სცენას. კარგადვე შეასრულეს თავიანთი როლი ქ-მა: ნ. ალიხანოვმა, ბ-ნმა დ. ალიხანოვმა, ე. ურუშაძემ, ა. წუწუნავამ და ა. თეკლეშვილმა.

მქირდავი.

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

სამეურნეო კომიტეტთა ბიუროკრატიული მოქმედება რომ სოფლის მეურნეობას არსებითს სარგებლობას ვერ მოუტანს, ამას მთელის რუსეთის მწერლობა აღიარებს. რომ კომიტეტთა კრებაზე საჭიროა მიწვეულ იქმნან გლეხთა და საზოგადოდ მიწის მხვნელ-მთესველთა წარმომადგენელნი საქმის რიგიანად დაგვირგვინებისთვის, არც ეს არის საეჭვო. ხოლო რა გარემოებაში სწარმოებს ჩვენში კომიტეტთა კრება, ამას გვიამბობს ქუთაისიდგან გამოგზავნილი და С.-Пет. Вѣд.“-ში დაბეჭდილი წერილი:

> აქ (ქუთაისის გუბერნიაში) თავადის ვინდ გლეხის მეურნეობაო,—ამბობს ავტორი, ერთ რომელსამე დარგზე არ არის დამოკიდებული; მევენახეობას, მეაბრეშუმეობას, პურის, ბამბის და სხ. მოყვანას ერთად მისდევენ. აქ გლეხს იმდენი გარდასახადი აწევს კისრად, რომ მარტო მევენახეობით, ან მარტო პურის მოყვანით ვერას გახდება. გლეხი ყველაფერს უნდა წაეპოტინოს, რომ წლითი-წლამდე როგორმე გარდასახადი იხადოს და ცოლ-შვილი შიმშილით არ დაეხოცოს.
>
> თუმცა გლეხი თავგამოდებით მუშაობს, მაინც სოფლის მეურნეობა საშინლად დაეცა; გლეხებს ძველი გადაუხდელი ხარჯი ემატებათ, მათი კეთილდღეობა ირღვევა, შველა-კი არ საიდგანაა. ხელმისაწდომი საკრედიტო დაწესებულება არ არსებობს, სპეციალური ცოდნა და განათლება აქაურ მცხოვრებთა შორის ჩამქრალია, წარმოადგენლობითი ორგანო, საერობო დაწესებულება რომელმაც უნდა იზრუნოს სოფლის საჭიროებათათვის, ჯერ არ შემოუღიათ.
>
> ერთის სიტყვით—აქ მძვინვარებს დიდი სასოფლო-სამეურნეო გაჭირვება, რომელიც მთავრობის ყურადღებამდე ვერ მიდის საერობო დაწესებულების შემოუღებლობის გამო.
>
> მოსალოდნელი იყო,—განაგრძობს ავტორი წერილისა,—რომ საგუბერნიო კომიტეტის დაარსებას სოფლის საჭიროებათა გათვალისწინება და გამორკვევა მოჰყვებოდა, მაგრამ კომიტეტის მოწვევა აქ ძლიერ დააგვიანეს. მხოლოდ ამ უკანასკნელს დროს გამოცხადდა სია კომიტეტის წევრთა; მაგრამ წევრად ისეთები არიან, რომელნიც სრულიად არ იცნობენ ცხოვრებას და მით უფრო—მეურნეობას. გლეხთა წარმომადგენელთაგან ამ კომიტეტში არავინაა მოწვეული, სოფლებიდგან მხოლოდ თავადაზნაურთა წინამძღოლები არიან დანიშნულნი, რომლებსაც თავისი კერძო წოდებრივი საქმეები აწუხებთ, და არა სოფლის გაჭირვება. თუმცა-კი უმაღლესად ნაბრძანები იყო კომიტეტთა კრებაზე სოფლის ყველა წარმომადგენელს მიეღო მონაწილეობა“.

ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტში, თუ არა ვსცდებით, არა ერთი და ორი ისეთიც ურევია, რომელთაც საკმაოდ იციან სოფლის ცხოვრება და გაჭირვება. თვით ქუთაისში არსებობს განყოფილება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელსაც შეუძლიან თავი მოუყაროს სოფლის მცოდნე ხალხს და იმათ განაბჭობინოს, რა უნდა და რა უჭირს სოფელს უმეტესად. გული გულობდეს, თორემ ქადა ორის ხელით იჭმევაო. ოღონდ მონდომა იყოს, თორემ კაცნი აღმოჩნდებიან, რომ ნათლად დაანახვონ, ვისიც ჯერ არს, რაც უშველის მეურნეობას და მრეწველობას.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 ოკდომბერი.

სტამბოლი. იტალიელთა ჯავშნიან გემის „პიემონტის“ უფროსმა განუცხადა ოსმალთა მმართველებს, თუ ახალს ვადაზედაც მეკობრეთ არ დაითმობთო, ბრძოლას განვაგრძობთო. ოსმალეთი ფრიად შეშინებულია. ცნობა მიიღეს, გოდეირს მოვიდა ინგლისის სამხედრო ხომალდი ბრიტანელთა ინტერესების დასაცველადო. ნაბრძანებია დააკმაყოფილონ ყველა წინანდელი მოთხოვნილებანი ინგლისის ქვეშევრდომთა გოდეირს. ხმა, რომ ინგლისმა ულტიმატუმით მიჰმართაო, საფუძველს მოკლებულია.

ჰააგა. 6-ს გიორგობისთვის თვის მოწვეულია საერთა შორისო ხამსჯავროს ადმინისტრატიული საბჭოს კრება.

სოფია. პოლკოვნიკი დიმიტრიევი დაინიშნა საგენერალო შტაბის უფროსად.

ცონჩევი, მსუბუქად დაჭრილი ფეხში, აქ მოვიდა. მის სახლს თვალ-ყურს ადევნებს პოლიცია.

პეტერბურგი. ცეცხლის გაჩენის შემდეგ განახლებული „მალი თეატრი“ გაიხსნა ა. ს. სუვორინის პიესით „ცარ დიმიტრი სამოზვანეც“ და „ცარევნა ქსენია“.

20 ოკდომბერი

პეტერბურგი. დაინიშნენ: მოსკოვის ტეხნიკური სასწავლებლის დირექტორის თანაშემწე—ფედოროვი დირექტორად; ახალ ალექსანდრეს სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე—დირექტორად. დაინიშნენ სენატორებად: კალიშის გუბერნატორი დარაგინი, საკასაციო დეპარტამენტთა საერთო კრების ობერ-პროკურორის ამხანაგი ბელოვი და ვილენის პალატის პროკურორი პოსკოვსკი.

ბერლინი. იანკოვის შესაპყრობად ემზადება სამხედრო ექსპედიცია.

იოჰანესბურგი. ინგლისის მთავრობა უარზე სდგას, რათა სამალიასთან საბრძოლად ბურების რაზმი შედგეს.

რიგა. გემი „მერკური“, რომელიც რიგაში მოდიოდა, დომენსკის მაიაკთან მელს დაეჯახა.

ლისაბონი, ქალაქ ამორეირაში საშინელი მიწის ძვრა მოხდა. მრავალი სახლი დაიმსხვრა და თან ადამიანიც ბევრი იმსხვერპლა. ყოველგან დიდი შიშიანობაა.

სოფია. როგორც ამბობენ, ცონჩევი პასუხის გებაში იქნება მიცემული მეორედ გაპარვისათვის.

ლონდონი. ბულგარიის მინისტრ-პრეზიდენტს განცხადების შესახებ, რომ ევროპის სახელმწიფონი მაკედონიის საქმეში ჩაერიონ, კრანბორნმა სთქვა, რომ მე ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მიმიღიაო.

კილი. იმპერატორი ვილჰელმი საღამოს 10 საათზე მოვიდა იახტას „გოგენცოლერნით“; აქედგან ინგლისში გამგზავრება.

პეტერბურგი. „Новости“ იტყობინება, რომ ლიტერტორთა ურთიერთ დამხმარე კასის გამგეობა 3 თებერვალს განიხილავს გრადოვსკის წინადადებას, რომელიც თხოულობს, რომ ხელის მოწერა გაიმართოს საპენსიო ფონდის გასაძლიერებლად მწერლობის ორასი წლის იუბილეის სახელზე.—იმ საზოგადოების წესდება, რომელსაც მიზნად აქვს უცხოელებს რუსეთი გააცნოს, მალე წარდგენილ იქნება დასამტკიცებლად.—სულიერ ავადმყოფთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შინაგან საქმეთა სამინისტროში მალე დაიწყებს მოქმედებას განსაკუთრებული კომისია.—ოდესაში 11—21 ოკდომბრამდე შავი ჭირით არავინ ყოფილა ავად; მაისის დამლევიდგან 10 ოკდომბრამდე შავი ჭირით გამხდარა ავად 48, მათ შორის 16 მომკვდარა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	—
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	37,665
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	94½ გაყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	477½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	359 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¼ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,610 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4,450 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	392 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	201 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

26 ოკდომბრისათვის

7. ნატალია დავითის ასულის კონტრიძისა და თევდორე ხუნდაძის დავა.
8. თ—დ ივანე მაჩაბლის, ბათაშვილის, თიგიშვილისა და თიბილაშვილის საქმე.
9. სოფრომ ვარაზაშვილისა და ერმინე ომანიძის დავა.
10. აკიფ-ეფენდი დერვიშ-ალა-ზადეს ობლების და ვასილ სიხარულიძის ობლების დავა.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

1-ლ ენკენისთვიდგან ქ. ოზურგეთში გაიხსნა ოთხ-კლასიანი

ქალების სასწავლებელი

პროგიმნაზიის კურსით. თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტიძის სახლში.

ბ ა ლ ა ნ ს ი

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა

1 ოკდომბრისათვის 1902 წლისა.

ა ქ ტ ი ვ ი.

		მ ა ნ.	კპ.
1. კასა		73.620	74
2. მიმდინარე ანგარიშები:			
ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში	311—56		
ბ) სახელმწ. ბანკ. ბათუმ. განყ.	815—64		
გ) ტფილის. საკომერც. ბანკში	762—48	1.889	68
3. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში		1.033	75
4. გაცდილება თამასუქებისა.		967.481	26
5. დაცვლილი კუპონები და ფასიანი ბილეთები		14.292	25
6. გირაოთი გაცემული სესხი:			
ა) სახელმწ. მერ. უზრუნ.-ყოფ. ფას. ქაღალდ.	100,271—		
ბ) არა უზრუნველ-ყოფ. ქაღალ. საკრედიტო საზოგადოებათა და სათ.-მამული ბანკებ.	78,589—		
გ) ოქროსა და ვერცხლში	26,647—		
დ) საქონლის კვიტანციებში.	2,825—		
ე) საქონელში	52,963—46	261.295	46
7. სპეციალური მიმდინარე ანგარიში წევრებისა:			
ა) უზრუნ.-ყოფ.ფას. ბილეთ.	90,588—39		
ბ) საქონლით	429,422—86	519.981	25
8. კორრესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით.	1.550,024—86		
ბ) ჩვენის ანგარიშით.	1.550,024—38	3.149.736	79
9. საჯირახულო თანხის ბანკის ბილეთები		50.651	60
10. სასწავლებლის თავნის ბილეთები		34.500	—
11. პროტესტ ნაქნარი ვექსილები		8.555	—
12. ვადა-გადაცილებული სესხები		3.736	34
13. ღერბის მარკები		311	85
14. მიმდინარე ხარჯები		28.943	21
15. დაბრუნებული ხარჯები		20.829	70
16. მოწყობა და მომართვა		2.474	09
17. ურავი მამული		74.694	99
18. სხვა ქალაქებში გაგზავნილი		88.388	73
ბალანსი.		5.307.416	89

პ ა ს ს ი ვ ი.

		მ ა ნ.	კპ.
1. თავნი, საზოგადოების წევრთაგან შემოტან.		154.405	—
2. საჯირახულო თანხა		54.305	49
3. ურთიერთ მამულის შესაძენად დანახარჯის ასასდეგნი თავნი		9.800	82
4. თავნი სახელოსნო და საპირისწოდო სასწავლებლისათვის		34.589	12
5. შემოტანილი წვერებისაგან:			
ა) მიმდინარე ანგარიშზედ.	340,553—95		
ბ) ვადით	781,647—80		
გ) უვადოთ	19,960—	1.142.161	75
6. თამასუქებით ნასესხი		97.150	—
7. სპეციალური მიმდინარე ანგარიში ტფილისის კომერციულ ბანკში		251.230	85
8. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით	1.497,629—31		
ბ) ჩვენის ანგარიშით	1.791.559—12	3.289.088	43
9. სხვა ქალაქებში გასაგზავნად გამოტანილი		117.417	29
10. დაურიგებელი დივიდენდი		11.331	04
11. სასარგებლოდ შემოტანილის პროცენტები		15.991	61
12. მიღებული სარგებელი და კომისიო		70.762	55
13. თავნის ნაწილი გამოსულ წევრთაგან დაუბრუნებელი		270	—
14. სახელმწიფო გადასახადები		9	15
15. სხვათათვის გადასაცემად შემოტანილი		57.546	84
16. მონაგები		536	36
17. მამულის შემოსავალი		1.838	54
ბალანსი.		5.307.416	89

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.